

~~K16807  
1a~~

გამოცემა კანტორა „ზანათლებიანა“, № 3.

პ ნ

კონსერვაციები

ლიბერალიზები

სოციალიზები

თბილისი

ტაშა ა. კერესელიძისა, გაბაევის შესახვევი, 1.

1916

პ ა ნ

კონსერვაციონი,  
ლიბერალიზონი,  
სოციალიზონი.

1580  
10  
K



---

თფილისი

სტამბა ი. კერესელიძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.

1916

## კონსერვატიზმი.

კონსერვატიზმი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს შენახვას, გახანგრძლივებას; პოლიტიკაში ის ნიშნავს არსებული წყობილების დამაგრებას, მის შენახვას და ხელისშეწყობას. მაშასადამე, საჭიროა ვინმე ემუქრებოდეს არსებულ წყობილებას, რომ დაიბადოს მისი შენახვის მიმდინარეობა.

როცა საზოგადოებაში იბადება ეჭვი ძველი ურთიერთობის სიკარგეში, როცა იწყებენ ბრძოლას მისი შეცვლისათვის, მაშინ ამ ურთიერთობის მომხრენი ირაზმებიან, კავშირდებიან და მის შესარჩენათ იბრძვიან. იბადება კონსერვატიული ანუ შემნახველი პოლიტიკური მიმართულება. ასეთი მდგომარეობა შეიძლება შეიქნას ყოველ ქვეყანაში, ყოველნაირ სახელმწიფო წყობილებაში. ავიღოთ, მაგალითად, ინგლისი და რუსეთი, რომელთა შორის პოლიტიკური მზგავსებაც კი არ არის. იქაური კონსერვატორები მომხრე არიან იქ არსებული წყობილების, ე. ი. შეუზღუდავი პოლიტიკური თავისუფლების, სრული პარლამენტარიზმის, აქაური კი ყოველივე ამას თავგამოდებით უარყოფენ; მიუხედავად

ამისა მათ შორის ორი დიდი მზგავსებაა: პოლიტიკური და ეკონომიური; ორივენი ებრძვიან არსებულ წყობილებს განვითარებას, რეფორმების შემოღებას, ორივენი იკრიბებიან უმთავრესათ მემამულეთა კლასიდან. ცხადია, კონსერვატიზმის დამახასიათებელია არა მარტო პოლიტიკური მომენტი, არამედ ეკონომიურიც, ე. ი. ის, რომ ეს მიმართულება აკებულა მიწათმფლობელობაზე.

მარა ყოველნაირი მიწათმფლობელობა არ იძლევა კონსერვატიზმის საფუძველს. მაგ. საფრანგეთში ჩვენ ვერ ვხედავთ კონსერვატორთა ისეთ ჯარს, რომელსაც ვხედავთ ინგლისში, რუსეთში, გერმანიაში და სხვაგან, თუმცა მიწათმფლობელთა კლასი იქაც არის. რა არის ამის მიზეზი? მიზეზია ის, რომ საფრანგეთში დიდმა რევოლიუციამ მოსპო მემამულეთა წოდება და მიწები ხელში ჩაუვარდა გლეხობას და ბურჟუაზიას. ხოლო ბურჟუაზია, როგორც კაპიტალის წარმომადგენელი, სრულიად არ შეიცავს კონსერვატიზმის უცვლელ ნიადაგს. ის, აღზრდილი და გამაგრებული გარეშე მიწათმფლობელობისა, გაჟღენთილი კაპიტალისტური და ქალაქური ლტოლვილებით, ისტორიულათ და ეკონომიურათ დაშორებულია მემამულეთა კლასზე და ძველი არისტოკრატია მას არასოდეს თავისათ არ სცნობს, რაგინდ დიდი მამული შეიძინოს.

მაშასადამე, კონსერვატიზმი ნიშნავს არა მარ-

ტო მიწათმფლობელობას, არამედ თავად-აზნაურულ მიწათმფლობელობას. აი ეს წოდება არის შემქნელი და მატარებელი კონსერვატიული მიმართულების.

რატომ? რისთვის?

საშვალო საუკუნეებში თითოეული ხალხი დაყოფილია რამდენიმე ნაწილად, რომელთაც ფლობს საკუთარი მთავარი. სამთავროს შეადგენს სოფელთა და ხეობათა ჯგუფი, თითოეული ამათგანი ექვემდებარება საკუთარ ბატონს. ამნაირათ, საბატონოთა კრება შეადგენს სამთავროს, ხოლო სამთავროთა — სამეფოს. მეფე სახელით არსებობს, საქმით კი, ის მთავარს არ აღემატება. ის პირველია თანასწორთა შორის და მთავართა ყრილობაზე თავმჯდომარეობს. ვისაც მეტი მამული აქვს, ვინც მეტი მიწის მპყრობელია, მას შეძლება მეტი აქვს, პური, ღვინო, ხორცი ბლომათ მოსდის და მეტი მხლებლების რჩენა შეუძლია. გერმანიის ერთი მებატონის ოჯახში ყოველდღე სადილობდა ოცდაათი ათასი კაცი, რის გამო ის ისე ძლიერი იყო, რომ ვინც სურდა, იმას გაამეფებდა. მას დაერქვა „მეფეთა მკეთებელი“. ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა, აი ამ ხანის საზოგადო ხასიათი. ბატონყმობა სოფელში, ამქრობა ქალაქში, რომელთა ბატონპატრონი ერთი და იგივე მებატონეა. ვაჭრობა, ხელოვნობა, მრეწველობა მისუსტებულისა; ცხოვრების მთავარი წყაროა მიწა-ადგილი, მეურნეობა.

ვინ არის დაინტერესებული ასეთი ურთიერთობის შენახვაში? რასაკვირველია ის, ვინც აქ ბატონობს და განცხრომაშია, ხოლო ასეთია მებატონენი, თავად-აზნაურობა. ესენი ბუნებრივად კონსერვატიული კლასია, ეს თვისება მათ უნდა გამოეჩინათ და გაეტარებიათ მხოლოდ მაშინ, როცა მათ ბატონობას საფრთხე მოეწვინა. ასეთ საფრთხეთ კი გახდა აბუჩათ აღებული მეფე.

მეფის ინტერესი მოითხოვდა გამოსულიყო ამ დაბრწყვებული მდგომარეობიდან და სახელთან ერთად საქმითაც მეფეთ, უზენაეს მპყრობელათ გამხდარიყო, და აი მას მოეწვინა ამ საქმეში მძლავრი მოკავშირე. მებატონეთა თავგასულობა ქმნიდა ქვეყანაში საზოგადო. შიშს, მიმოსვლის და ვაჭრობის მუდმივ საფრთხეს. მეფე მუდამ ფულის საჭიროებს, ფული კი ვაჭრებს აქვთ. მეფის პირდაპირი ინტერესი შეიქნა ვაჭრების და ვაჭრობის მფარველობა, მათი მოღვაწეობის უზრუნველყოფა. ის იფარავს ქალაქებს, გზებზე აყენებს დარაჯებს, პირველათ თავის სამფლობელოში, შემდეგ მას ბაძვენ მთავრებიც. მარა, ყოველ შემთხვევაში, მეფე ხდება ამ მოძრაობის მეთაურათ და მმართველათ. ვაჭართა კლასი მას უჭერს მხარს და ასე ღგება კავშირი მეფესა და ვაჭრებს შორის. ესენი, ერთი შეიარაღებული ძალით, მეორე კი ფულის მისესხებით, თანდათან ლაგმავენ მებატონეთ, ართმევენ მათ დამოუკიდებელ

ბატონობას, და მთელ სახელმწიფოში ისპობა მრავალთა მეფობა და მყარდება ერთმეფობა.

აი ამ თვითმპყრობელობითი მიმდინარეობას ებრძვის ფეოდალთა კლასი. პირველი წარმოადგენს პროგრესიულ ძალას, ხოლო მეორე კი კონსერვატიულს.

ბრძოლა გათავდა ფეოდალთა დამარცხებით. ესენი ძალაუნებურათ ურიგდებიან ამ მდგომარეობას, ცდილობენ ახალ გარემოებას შეეწყონ და ის თავის სიმდიდრის წყაროთ გადააქციონ. გამდიდრებული და გაღონიერებული მეფის სასახლეში თავს იყრიან მორჩილი აზნაურები და ადგენენ მეფის ამალას, კარისკაცთა, მთავარმოხელეთა და საზოგადოთ მმართველ წრეს. რაკი ხაზინაში ფული დაგროვდა, შესაძლებელი გახდა მუდმივი ჯარის გაჩენა, რომელსაც მეფე აგზავნიდა ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ და მათ ციხე-კოშკებს ანგრევიებდა. თავად-აზნაურობას გამოეცალა ძველი პოლიტიკური ძალა, მათ მეფე ახლა აღარც კი იწვევს სათათბიროთ, არაფერს ეკითხება და თუ ხანდახან მაინც იწვევენ, — ასეთ ყრილობას მნიშვნელობა აღარ აქვს: თუ ის მეფეს ეურჩა, — ჯარი სხდომას ხურავს და მოწინააღმდეგეთ ატყვევებს. დასუსტებული წოდება საშიშარი აღარ არის მეფისათვის და ესეც პირს იბრუნებს მის დასახლოვებლათ და საშველათ. რაც უნდა იყოს, მეფე ამ წოდების ხორცი ხორცთაგანია.

და რაკი მათ შორის დავა მოისპო, საჭირო შეიქნა მათი შეერთება გარეშე საფრთხის წინააღმდეგ. ჯამაგირები, პენსიები, სუბსიდიები, ახალ-ახალი ადგილები ჯარში და მართველობაში—აი რას ურიგებდა მეფე თავის ნათესავ წოდებას და ისიც მისი ერთგული შეიქნა. არისტოკრატია, ბიუროკრატია, სასახლე—გახდა ერთი მთელი ქვეყნის ბატონი და პატრონი.

აი ამ ნიადაგზე აღმოცენდა ახალი მოვლენა. მეფეთა გაძლიერებამ დაბადა მეფეთა თვითმპყრობელობა, ხოლო თვითმპყრობელობამ—ახალი პოლიტიკური მოძღვრება, წოდებული „ღვთის უფლებათ“, ე. ი. მეფე ღმერთის მოციქულია დედამიწაზე. ეს დედა-აზრი პირველათ პრაქტიკულათ განამტკიცა საფრანგეთის მეფე ლუი მე-14-მ, ხოლო თეორიულათ მისმა აღმზღელმა ღვდელმთავარმა ბასუეტმა. აი რას სწერს ის თავის თხზულებაში: „ნამდვილი მეფე არის ღმერთი. მარა ღმერთი აყენებს მეფეებს, როგორც თავის მინისტრებს, და მათი საშვალეებით ქვეყანას მართავს. მეფის უფლება ღვთისაგან მომდინარეობს. მეფის პიროვნება წმიდა და მირონცხებულია. მეფის უფლება უსაზღვროა. ის, ვინც მას არ ემორჩილება, იგზავნება არა სამჯავროს წინაშე, არამედ პირდაპირ შეუნდობლათ სიკვდილით ისჯება, როგორც მტერი საზოგადო მშვიდობიანობის და ადამიანთა საზოგადოებისა. თვითმპყრობელო-

ბითი მთავრობა არ არის თვითნებითი მთავრობა, რადგანაც მეფე ვალდებულია იმეფოს თანახმად არსებული წესებისა, მარა თუ ის თვითნებობას იჩენს, არვითარი საშვალეა მის წინააღმდეგ არ არსებობს.“

ასე აღზარდა ბასუეტმა მეფე ლუი, რომელმაც თავის შვილიშვილს ასე მიმართა: „თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ მეფენი თვითმპყრობელი ბატონებია და, რასაკვირველია, რაც საერო და სასულიერო წოდებას ეკუთვნის,—მათ მფლობელობაშია. ამავე ძალით ყოველივე, რაც ჩვენს სამეფოშია,—ჩვენ გვეკუთვნის. გარემოება, რომელიც მეფეს იძულებულ ყოფს დაექვემდებაროს ხალხის კანონებს, არის უკანასკნელი უბედურება, რაიცა ოდესმე ჩვენი წრის კაცს ეწვევა. მეფე წარმოადგენს მთელ ერს, ერი ერთ მთელს არ შეადგენს, ის ერთიანად მეფეში მდგომარეობს.“

ასეთი შეხედულობა შემუშავდა საფრანგეთში და იქიდან გადავიდა დანარჩენ ევროპაში, ახლა ეს მოძღვრება გახდა კონსერვატიზმის მოძღვრებათ. თუ წინა ხანაში კონსერვატორობა ნიშნავდა ფეოდალთა ბატონობას, ახლა კი კონსერვატორობა ნიშნავს მეფის თვითმპყრობელობას. მარა ორივე შემთხვევაში კონსერვატიული კლასი ერთი და იგივეა, —ეს არის თავად-აზნაურობა, პირველ შემთხვევაში მეფისაგან დამოუკიდებელი, მეორე შემთხვე-

ვაში მეფისაგან დამოკიდებული. უეჭველია, ბასუ-  
ეტის მოძღვრება უმთავრესათ მიმართული იყო ფე-  
ოდალების წინააღმდეგ და, მაშასადამე, რამოდენი-  
მეთ პროგრესიული მოძღვრება იყო თავის დრო-  
ისათვის. დავა იყო ფეოდალთა და მეფეს შორის,—  
ვინ უნდა იყოს ბატონიო. ბასუეტი ემხრობა მეფეს  
და აცხადებს—აი ერთად-ერთი ბატონი და მპყრო-  
ბელიო. ცხადია, ეს აზრი კონსერვატიზმით გადაიქცა  
არა ფეოდალთა წინააღმდეგ, არამედ ლიბერა-  
ლების, ე. ი. იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელიც  
თხოულობდა არა ფეოდალური წყობილების აღ-  
დგენას, არამედ პარლამენტარული წყობილების შე-  
მოღებას. აქ წინეთ პროგრესიული მოძღვრება შე-  
იქნა კონსერვატიულათ: ის იცავს არსებულ წყო-  
ბილებას. ვინაიდან ამის დაცვაში დაინტერესებუ-  
ლია თავად-აზნაურობა, მემამულეთა კლასი, ცხა-  
დია, კონსერვატიზმი გადაიქცა დროშათ მთელი  
ბრწყინვალე წოდებისათვის.

კონსერვატიზმი შეიცავს არა მარტო პოლი-  
ტიკურს, არამედ ეკონომიურ მოძღვრებასაც. თავის  
თავათ ცხადია, რომ ძველი პოლიტიკური წყობი-  
ლების მომხრე უნდა იყოს ძველი ეკონომიური  
ურთიერთობის მომხრეც. რაკი კონსერვატიზმი  
აგებულია მიწათ-მფლობელობაზე, უეჭველია, მა-  
მულის უპირატესობა ქონების სხვა დარგებთან შე-  
დარებით კონსერვატორთა მოთხოვნილება უნდა

იყოს. ძველებური მეურნეობა, ძველი სოფლური ურთიერთობა, გლეხის სიბრიყვეში ჩაჭერა, მემამულის სრული ბატონობა და მრავალი სხვა კონსერვატიული პარტიის მთავარი დროშაა.

ერთი სიტყვით, მამულის ბატონობა ნიშნავს წარმოებაში მეურნეობის და სოფლის ბატონობას, პოლიტიკაში ბიუროკრატიულ თვითნებობას, იურისპრუდენციაში თავად-აზნაურობის უფლება-უპირატესობას.

ეკონომიური კონსერვატიზმი თავს იჩენს მხოლოდ მაშინ, როცა მემამულის მეურნეობას რაიმე საფრთხე ხვდება და კრიზისი უდგება. ასეთ მდგომარეობაში ვარდება მიწათმფლობელობა ბაზრის გავლენით, კაპიტალისტური კონკურენციით. მემამულე ვალიანდება და მისი მამული ბაზარზე გამოდის გასაყიდათ. აი აქ იწყება საყოველთაო წუწუნის: მეურნეობა იღუპება, თავად-აზნაურობას რა უშველისო — ასეთ მდგომარეობაში გერმანიის მემამულეთა კლასი ჩავარდა გასული საუკუნის მეოცე წლებში. აი რა პროექტებს თხზავდნ იქაური კონსერვატორები მემამულის დასახსნელათ:

„საჭიროა კანონით შეიზღუდოს მიწის დაგირავება, სწერს ერთი მათგანი. მიწა, როგორც უძრავი ქონება, არ უნდა დაგირავდეს. მამულის შესამუშავებლათ ნასესხი ფულის მოხმარა უნდა ხდებოდეს მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ. და-

ვალნიანების უმთავრესი მიზეზია სამკვიდროს თანა-  
სწორათ გაყოფა მემკვიდრეთა შორის. სადაც ეს ასე  
ხდება, მემამულის გაღარიბება აუცილებელია.“

— „გლახთა სახლკარის და აზნაურთა მამულე-  
ბის დაცვისაგან დამოკიდებულია სოფლის მცხოვ-  
რებთა დაცვა და მათი ზნეობის, გარჯის და შრო-  
მისმოყვარეობის. შენახვა. ხელობის თავისუფ-  
ლებით ჩვენ ვარღვევთ მშრომელ გლახობას, ხოლო  
ეზოს და სახლკარის გაყოფის უფლებით ის გადავაქ-  
ციეთ გასაწყლებულ მოჯამაგირეთა ბრბოთ, რომელიც  
მოვახშეთა და ებრაელების ბრჭყალებში ჩა-  
ვარდა. დიდ საფრთხეს გვიქადის დაბალი ხალხის  
გამრავლება და მის მოთხოვნილებათა გადიდება.  
ეს ხალხი შედგება ქალაქში უსახლკაროთაგან,  
სოფელში ბალახის მთიბაგთა, ჩალის მჭრელთა, მო-  
ჯამაგირეთა და მოსამსახურეთაგან. ეს ხალხი გაჟ-  
ღენთილია შურით, პირადი ინტერესებით და სიძუნ-  
წით. ქვეყნის დამლუპველია როგორც ბევრი მამუ-  
ლის ადამიანთა მცირე რიცხვის ხელში მოგროვება,  
რის მაგალითია ინგლისი, ისპანია და რომის პრო-  
ვინცია, ისე მიწა-ადგილის დაკნინება და ატო-  
მებათ გადაქცევა, რის მაგალითია საფრანგეთი, რე-  
ინის პროვინცია და ვიურტენბერგი. ამ ორივე გა-  
რემოებისაგან წარმოდგება საშიშარი ბრბო, რომელ-  
საც პროლეტარიატი ეწოდება“-ო და სხვა და სხვა.  
ყველა ჯურის კონსერვატორები მისტირიან ძველ

დროს, როცა სოფელში კაპიტალი არ ბატონობდა, ფულის მეურნეობა არ იყო, ყმა ყმურათ იყო და ბატონი ბატონურათ. ისინი ებრძვიან როგორც კაპიტალის გაჩენას, ისე პროლეტარიატის წარმოშობას. ნაკლები თავისუფლება, ვიწრო სარბიელი, მოქმედების ვიწრო კალაპოტში ჩაყენება—აი მემამულეთა დროშა. აზნაურობის გაღონიერება, მისი უფლებათუპირატესობის გაძლიერება, მისი მამულების დაცვა ვაჭრისა და ბანკისაგან, სუბსიდიები, დახმარება—აი მემამულეთა პოლიტიკა. ხალო ყოველივე ამის გასატარებლათ საჭიროა მძლავრი მთავრობა, რომელმაც უნდა განსაზღვროს თითოეული პირის ყოფაცხოვრება და საქმიანობა.

ერთი სიტყვით, ნაკლები თავისუფლება, ნაკლები თაოსნობა, ნაკლები მოძრაობა კერძო პირისა; მეტი თავისუფლება, მეტი თაოსნობა, მეტი მოძრაობა მთავრობისა—აი რას ნიშნავს კონსერვატიზმი.

ეს ერთიანათ უარისყოფაა მთელი თანამედროვე მიმდინარეობის, კაპიტალიზმის ძლევამოსილი მსვლელობის. მარა, რადგანაც ნავში ჯდომა და მენავესთან ბრძოლა ძნელია, ამიტომ კონსერვატორთა დროშას კალთები ეკვეცება, ხალხი ყოველგან მის წინააღმდეგ ჯანყდება და თანამედროვე თავისუფლება მყარდება. კონსერვატორები, ბრძოლაში დამარცხებულნი, ხელ-ახლა ფეხზე დგებიან, ძალას იკრებენ და ახალ ნაკადულს ზღუდეს უკეთებენ. აქ

ჩნდება მათ შორის განხეთქილება. უმცირესობა ფიქრობს ისტორიის ჩარხის უკან დაბრუნებას; ძველი, კარგი დროის მთელი სიგრძე-სიგანით აღდგენას. ესენი თავის დროშაზე აწერენ არა კონსერვატიზმს, არამედ რეაქციას (რეაქცია—უკან წასვლა). უმრავლესობასაც სანატრელათ მიაჩნია რეაქცია, ძველი წყობილების აღდგენა, მარა ამას ისანი უტოპიათ, განუხორციელებელ საქმეთ აღიარებენ და ამიტომ ცდილობენ ახალი წესის ცნობით მას დაეპატრონონ და თავის სურვილისამებრ გაატარონ. ისინი ახლა თავისუფლების პრინციპს უარს არ უოფენ, მხოლოდ სურთ მისი კონსერვატიულათ განხორციელება, ე. ი., რაც შეიძლება ნაკლები თავისუფლება ხალხს და მის წარმომადგენელთ, რაც შეიძლება მეტი თავისუფლება პიუროკრტიულ მთავრობას და მის აგენტებს.

ცნობილი გერმანელი კონსერვატორი იულიუს სტალი 1848 წ. რევოლიუციის მეორე დღეს სწერდა: „უეჭველია ნამდვილი, ძველებური მეფობა გაუქმდა, მისი აღდგენა დღეს აღარ შეიძლება, მარა უეჭველია ისიც, რომ კანონისა და მეფის ალაგას ხალხის უფლება არ ჩამდგარა. ჩვენი უმაღლესი სახელმძღვანელო დედა აზრია შემდეგი: ყოველგან კანონის და არა ხალხის სურვილის ნიადაგზე დადგომა, ერთგულათ სამსახური მეფის ბატონობისა, და დამოუკიდებულებისათვის, ბრძოლა წინააღმდეგ

ხალხის უფროსობისა და ფრანკფურტის და ბერლინის პარლამენტთა მიდრეკილებისა. მეფის უფლების ხელშეუხებლობა, რაც მომდინარეობს ღვთის მოწყალებისაგან და არა ხალხის სურვილისაგან. ყოველივე ძალა და სანქცია მისგან გამოდის, მის ნებადაურთველათ სახელმწიფოში არაფერი გადაწყდება. ამასთანავე საჭიროა ხალხის თანაბატონობა წარმომადგენელთა საშვალეებით. მართველობის არა გაყოფა ხალხსა და მეფეს შორის, არამედ მისი შეერთება, ერთი საერთო მართველობის შექმნა მეფისა და ხალხის ხელმძღვანელობით. ამ ერთობის საძირკველია: მეფის მთავრობის სიძლიერე და დამოუკიდებლობა კონსტიტუციის საზღვრებში.“

ამ გეგმის გასატარებლათ ის თხოულობს ცენზიან არჩევნებს, პალატაში რაც შეიძლება მეტი აზნაურების შეყვანას და ასე ფაქტიურათ ისევ ძველი წოდების გაბატონებას. რა არის კონსტიტუციური მეფე, კითხულობს ის და ამბობს: „ის არის არა მარტო აღმასრულებელი ძალა, არამედ ბატონიც, აქვს არა მარტო ბატონობის უფლება, რომლის ამოძრავება პარლამენტისაგან არის დამოკიდებული, არამედ თვით ეს ამოძრავება და უფლების მოხმარა არსებითათ მისგან არის დამოკიდებული. ის არის შეზღუდული მეფე და არა მხოლოდ სახელით მეფე. ის არის მეფე, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ იტყვის—მე ასე მექეიფებო, მარა ამასთანავე არავითარ შემთხვევაში ხალხს და პარლამენტს არ დაემორჩილება, როცა ისინი ამბობენ: ჩვენ ასე

მოგვექეიფებაო. ის არის მეფე, რომელსაც უნდა ქონდეს ძალა წინააღმდეგ ხალხის წარმომადგენელთა და საზოგადო აზრისა“.

ასეთია კონსერვატორთა კონსტიტუცია, მათი საამდროვოთ შემუშავებული პოლიტიკური პროგრამა, რაიცა სავსებით განხორციელდა ერთადერთ გერმანიაში.

როგორც ხედავთ, კონსერვატიზმი, განსახიერებული მემამულე თავად-აზნაურობაში და მის პირმშო შვილ — ბიუროკრატიაში, იძულებულია სხვა კლასების ძალდატანებით მუდამ ფერი იცვალოს, შეცვლილ გარემოებას შეეწყოს, მარა ის შინაარს არასოდეს არ იცვლის, მუდამ სახეში აქვს დაცვა მემამულეთა და ბიუროკრატის ინტერესებისა; მისი მუდმივი მიზანია მამულის კაპიტალზე გაბატონება, სოფლისთვის ქალაქის დამორჩილება, მეურნეობის მრეწველობაზე უფრო წინ დაყენება, პროლეტარიატის გლეხების მიერ შებორკვა. ის მუდამ ბრძოლაშია, ებრძვის მთელ ბურჟუაზიულ საზოგადოებას და თუ აქ მოკავშირე ვერ იშოვა — მუდამ წაგებულია, ხოლო თუ ბურჟუაზია ასე თუ ისე მიიმხრო, — მოგებული და მმართველ კლასათ აღიარებულია. ეს შერიგება დღემდის მხოლოდ გერმანიაში მოხდა, სხვაგან ყოველგან ის ებრძვის ბურჟუაზიას და მის პარტიებს\*).

რა მოძღვრებას უპირდაპირებს ბურჟუაზია კონსერვატორებს?



---

\*) ჩვენ აქ არსად რუსეთი არ გვყავს სახეში.

## ლიბერალიზმი.

ლიბერალიზმი ისპანიური სიტყვაა და ნიშნავს თავისუფლებას, მოძღვრებას თავისუფლების შესახებ (ლიბერო — თავისუფალი). იმ დიდ განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში დასრულდა დიდი რევოლუციით, მეცხრამეტე საუკუნეში პირველათ ისპანიაში უწოდეს ლიბერალური მოძრაობა და ამ დროის ქვეშ მოიყარეს ყოველგან თავი თავისუფლების მომხრეებმა.

საიდან მოდის ეს მოძრაობა? ვინ არის ლიბერალიზმის მატარებელი და მოციქული?

ნატურალური, საშვალო საუკუნისებური მეურნეობის ბატონობა ნიშნავს მიწის ბატონობას. ადამიანი მიწაზე არის მიკრული, რასაც მოიმუშავებს, იმას იქვე ხარჯავს. მთელ თავის სიცოცხლეში შეუძლია თავის სოფელს არ გაშორდეს, არაფერი აიძულებს მისვლამოსვლას და რამე ახალის გაგებას, მხოლოდ საომრათ ან საქურდლათ თუ წავა, თორემ სხვა რამ საქმე გარეთ არ აქვს, — კაცი ერთიანათ მიწის დამატებაა. მარა, რადგანაც მიწა უბატონოთ არ არის, მიწაზე მიკრული ადამიანებიც

ამ ბატონის ყმებია. პიროვნების განუვითარებლობა, მისი ხელუფების შებორკვა, განსაზღვრულ სამოქმედო კალაპოტში ჩაყენება, მოკლეთ, ამქრობა ქალაქში, ბატონყმობა სოფელში—აი ნატურალური მეურნეობის იურიდიული გამოხატულება.

ასეთ ფეოდალურ ურთიერთობაში ფეხი აიდგა და გაძლიერდა ვაჭრობა და აღებმიცემობა. რადგანაც ხმელეთის გზები საშიშარი იყო, ამიტომ ნაოსნობა დაედვა საფუძველათ სავაჭრო მიმოსვლას. ქალაქები შენდება წყლის პირას. მათი უახლოვესი და საიმედო ბაზარია ახლომახლო მდებარე სოფლები. ქალაქსა და სოფელს შორის იწყება შრომის განაწილება, ნაწარმოებთა გაცვლაგამოცვლა. რაც მეტი მყუდრო ტერიტორია აკრავს ქალაქს, მით მეტია მისი ბაზარი, ფართეა აღებმიცემობა. მე-15 საუკუნეში აღმოაჩინეს ამერიკა და ზღვის გზა ინდოეთისაკენ. ვაჭრობისა და ბაზრის მდგომარეობა უცებ შეიცვალა. ევროპელები დაეხვიენ ახალ ქვეყნებს და იქიდან მრავალი ოქრო-ვერცხლის და ძვირფასი ნივთების გადმოზიდვა იწყეს. გახშირდა მისვლამოსვლა, გაფართოვდა სამოქმედო სარბიელი, გაშენდა ახალი ქალაქები და სავაჭრო ცენტრები, ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი ქვეყნები. ქალაქები აარსებენ კავშირებს და ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდიან სავაჭრო გზაზე. მარა

ვინაიდან მათ ავიწროებდენ შიგნით ფეოდალები, ხოლო გარეთ უცხო ქვეყნის მეტოქეები, დაიბადა მოქალაქეთა ლტოლვილება ძლიერი მთავრობისაკენ როგორც ფეოდალთა, ისე გარეშე მოცილეთა ასალაგმავათ. ფულმა დაავალიანა მოწინავე წოდება, დასცა ქედმოუხრელი მებატონენი, ხოლო მეფე შეეცადა მოქალაქეთა გაღონიერებით თავის თავი გაღონიერებია. მოწინავე წოდებას თანდათან ეკარგვის ძველი, მკვიდრი ნიადაგი და სარბიელზე გამოდის ბურჟუაზია.

როცა ნატურალური მეურნეობა ფულის მეურნეობაში გადადის,—ცხოვრების ძველი საფუძველი ერთიან იშლება. აქ ადამიანი მიწაზე კი არა, ფულზე არის მიკრული. მისი მიზანია ფული, ყველა დანარჩენი საშვალეებაა. ფულის შოვნა კი შესაძლებელია რაიმე ნაწარმოების ბაზარზე გაყიდვით, მარა ნაწარმოები თავის თავათ ფებს ვერ აიდგამს და მუშტარს ვერ მონახავს, ის მოძრაობს ადამიანით და ადამიანთან. ბაზარზე გამოდინან საქონლისა და ფულის პატრონნი. რას ნიშნავს ეს? აი რას: პირველათ, ამ პირთ უფლება აქვთ თავისუფალი სიარულის, ბაზარზე გასვლის, მეორეთ, მათ უფლება აქვთ საკუთრება იქონიონ, მესაკუთრენი იყვენ. ამით ძირიანათ ინგრევა ძველი ბატონყმური იურიდიული წყობილება. ჩაკვეთ ქვეით. ფულს ხომ ბა-

ტონი არ ჰყავს, მას ერთნაირი ფასი აქვს ყმისა და მებატონის ჯიბეში. ფული სცნობს მხოლოდ კაცს, საიდნაც და რანაირიც უნდა იყოს; მის წინაშე ადამიანთა სრული თანასწორობაა; მათ არავინ კითხავს: რა გვარი ხარ, რომელი სოფლიდან ხარო და სხვა. ფული ამყარებს იურიდიულ თანასწორობას.

ფულის მოძრაობა მოითხოვს ადამიანთა მოძრაობას. ეს კი მოითხოვს სამიმოსვლო ყოველივე ხელოვნური ზღუდეების დარღვევას და თავისუფალი მიმოსვლის დაქარებას. ფულის შექმნისათვის საჭიროა შრომა, ხელის და ტვინის ამუშავება; მის შექმნას საზღვარი არა აქვს; რაც მეტი გაქვს, მით უკეთესია. მაშასადამე, შრომასაც საზღვარი არა აქვს, მუდამ ფიქრობ, მუდამ მოძრაობ, მუდამ ფაცურობ. ამით ვითარდება თვითმოქმედება, ენერჯია, ერთი სიტყვით, პიროვნების მთელი ძალღონე სავსებით გარეთ გამოდის და თავის ალაგს ეპატრონება. ეს ინდივიდუალიზმია. პიროვნება, „მე“ ძლევამოსილათ წინ დგება და ომს უცხადებს ძველ ქვეყანას. ეს „მე“ ხდება მთელი ქვეყნიერების ერთ-ერთ საწყაოთ. ამ საფეხურზე „მე“ კიდევ არ იქცევა „ჩვენ“-ათ, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ.

ამგვარათ, ფულის ბატონობა მოასწავებს ეკონომიურ ნიადაგზე თავისუფლებას და თანასწო-

რობას. მოძღვრება თავისუფლების შესახებ პირველათ აღორძინდა იქ, სადაც პირველათ აღორძინდა ფულის მეურნეობა — ინგლის-საფრანგეთში (მე-18 საუკუნეში). ადამ სმიტი და ტიურგო, ფიზიოკრატები და შემდეგ მანჩესტერლები — არ ამ მოძღვრების მამათმთავარნი. ისინი ქადაგობდენ: უნდა მოიხსნოს ყოველივე ზღუდე, რაც კი აბრკოლებს საქონლის გადატანგადმოტანას პროვინციიდან პროვინციაში, ქვეყნიდან ქვეყანაში. ამ მიზნით უნდა გაუქმდეს ყველა ძველი კანონი, რაც კი აძნელებს საქონლის დამუშავებას და მოხმარას, საზღვარს უღებს მუშათა რიცხვს (ამქრობა) და მოგზაურობას (პასპორტი), ადებს ნიხრს გასაყიდ საქონელს, ნებას აძლევს ზოგ პირთა ამა თუ იმ დარგის წარმოებისას, (პრივილეგიები, მონოპოლია), ხელს უშლის ერთა შორის ვაჭრობას (დამოყენა და ბაჟები) და სხვა და სხვა. მოკლეთ, უნდა დაიღეწოს ძველი პოლიტიკური ბიუროკრატიული წყობილება და ადამიანი განთავისუფლდეს მთავრობის აპეკუნობისაგან. ნება მიეცით კაცს იმოქმედოს ისე, როგორც მას სურს; ნუ ჩააყენებთ მას ხელოვნურ ჩარჩოში, ნუ ჩაერევა სახელმწიფო მის მოღვაწეობაში; პოლიციის და მთავრობის საქმეა მშვიდობიანობის და მყუდროების დაცვა და არა მოქალაქეთა თავისუფლების შეკვრა; დაანებეთ კერძო პირთ მეტი თაოსნობა, ხოლო მთავრობას ნაკლები; გაათავოთვეთ კერძო

პირთა სამოქმედო სარბიელი, სამაგიეროთ შეავიწროეთ მთავრობის ასპარეზიო. ერთი სიტყვით, მეტი თავისუფლება, მეტი ასპარეზი, მეტი მოქმედება. კერძო პირთ, ნაკლები თავისუფლება, ნაკლები ასპარეზი, ნაკლები მოქმედება მთავრობას. მთელი ეს მოძღვრება გამოიხატა ოთხ ფრანგულ სიტყვაში: „ლესე ფერ, ლესე პასე“—აცალეთ მოქმედება, აცალეთ მოძრაობა. ეს უმაღლესი ინდივიდუალიზმია; ეს შესანიშნავი ახსნაა ახალი ისტორიული განვითარებისა; ეს პიროვნების გაღმერთებაა, მისი უფლების დაცვა და განმტკიცებაა. აქ ადამიანი პირველათ გამოდის ისტორიაში თავისი გათელილი პირადობის აღსადგენათ და შესძახის ძველ ქვეყანას: მე ვარ თავის თავის ბატონი, საზოგადოების ქვაკუთხედი და ნებას არავის მივცემ ჩემზე იბატონოსო. ამ ხმაზე შეტოკდა ძველი ქვეყანა, დაინგრა ძველი პოლიტიკური და იურიდიული მტარვალობა და გამეფდა თანამედროვე თავისუფლება.

აი ამ მიმართულებას დაარქვეს ლიბერალიზმი და ის ამ სახელით არის დღეს ცნობილი.

ამნაირათ, ლიბერალიზმი საერთოთ გამარჯვებული გამოვიდა კონსერვატიზმთან ბრძოლაში, თუმცა ეს გამარჯვება ყოველგან ერთი სახის და სიძლიერის არ იყო. ყველაზე უფრო დიდი გამარჯვება ლიბერალიზმა ირგუნა საფრანგეთში. ერმა, რო-

მელმაც დაბადა ბასუეტი და ლუი მე-14, დაბადა, რობესპიერი, დანტონი, რესპუბლიკა. თავისუფლების დიდებული ხარტია პირველათ საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ მოგვცა და მას ეწოდება დეკლარაცია ადამიანის და მოქალაქის უფლებათა. აი რამდენიმე მუხლი ამ დეკლარაციისა:

„ადამიანები იბადებიან და რჩებიან თავისუფალნი და უფლებით თანასწორნი.

„უფლება ნიშნავს თავისუფლებას და დაჩაგრვის წინააღმდეგობას.

„მხოლოდ ერი წარმოადგენს თვითმპყრობელ ძალას.

„კანონი არის საზოგადო სურვილის გამოხატულება. თავისუფალი მოქალაქე ვალდებულია პირადათ ან თავის წარმომადგენელის საშუალებით კანონის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღოს. კანონი ყველასათვის ერთია. არავისი დაჭერა და გასამართლება არ შეიძლება, თუ კანონით წინდაწინ გარკვეული და ნებადართული არ არის.

„თითოეულ მოქალაქეს შეუძლია სრულიად თავისუფლათ ლაპარაკი, წერა და ბეჭდვა.

„გადასახადის განაწილება მოქალაქეთა შორის ხდება თანახმათ შეძლებისა და მდგომარეობისა“.

ერთი სიტყვით, დიდი რევოლიუციის პრინცი-

პებია: თვითმპყრობელი და ბატონი მხოლოდ ერთი, მისი წევრნი უფლებით თანასწორნი არიან, ყველა ადამიანი თავისუფალი მოქალაქეა, მოკლეთ, თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა.

ეს, ასე ვთქვათ, ლიბერალური მიმდინარეობის კლასიკური გამოხატვაა, მისი ლოდიკური დასკვნებია. მარა მოვტყუვდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ ასეთი დასკვნები სავაჭროსამრეწველო ბურჟუაზიამ გააკეთა.

ლიბერალიზმი, როგორც ვთქვით, თანამედროვე საზოგადოების ძირითადი მიმდინარეობაა; ის დაახლოვებით ყოველგან ერთია, მარა მისი ცხოვრებაში გატარება კი სხვადასხვანაირია. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი კლასი რანაირ ისტორიულ პირობებში ახორციელებს ამ პრინციპებს. სხვადასხვა კლასი და წრე პოლიტიკურ ლიბერალიზმს სხვადასხვანაირათ ახორციელებს. საფრანგეთის პირველმა დამფუძნებელმა კრებამ წამოაყენა შემდეგი ლიბერალური სახელმძღვანელო დებულებანი:

1. საფრანგეთის მთავრობა მონარქიული მთავრობაა.
2. მეფის პიროვნება შეულახველი და წმიდაა.
3. მისი გვირგვინი მემკვიდრეობით გადადის მამაკაცზე.
4. მეფეს ხელთ უპყრია აღმასრულებელი ძალა.
5. მთავრობის აგენტები პასუხისმგებელი არიან.

6. კანონის გამოქვეყნებისათვის საჭიროა მეფისაგან ხელის მოწერა.

7. ერი ქმნის კანონს მეფესთან ერთად.

8. გადასახადების გაწერისა და სესხის აღებისათვის საჭიროა ერის თანხმობა.

9. გადასახადის მიცემა შეიძლება მხოლოდ პალატის სესიიდან სესიამდის.

10. საკუთრება ხელუხებელია.

11. პიროვნების თავასუფლება ხელუხებელია.

აი ეს ლიბერალიზმის ნამდვილი გამოხატულებაა, როცა მას შეძლებული ბურჟუაზია ახორციელებს. აქ გაბმულია ძაფი ძველსა და ახალს შორის. ეს შერეული წყობილებაა: ლიბერალური დებულების გასატარებლათ მოწოდებულია არა მარტო ახალი კლასები, არამედ ძველიც, კონსერვატიზმის ისტორიული მედროშენი. მაშასადამე, ლიბერალიზმი ერთნაირი კომპრომისი ანუ შეთანხმებაა ძველსა და ახალ ძალას შორის. ბურჟუაზია სწორეთ ამ კომპრომისისაკენ მიიმართება და მას საუკეთესო წყობილებათ აღიარებს.

მარა აღრე აშკარავდება, რომ ძველი კლასები ასეთ კომპრომისს უარს ყოფენ: კონსერვატორები, ახლარეაქციონერებათ მოვლენილნი, ბურჟუაზიას გამოწვდილ ხელს არ ართმევენ და თავის სრულ ბატონობაზე ოცნებობენ. იწყება დიდი პოლიტიკური

შეჯახება, რაშიაც ერევა ხალხი და თავის გამარჯვებით მოძრაობის სადავეს ხელთ იგდებს. ბურჟუაზია ათავეებს თავის როლს; მან საკმაოთ შეარყია ძველი წყობილება, მარა იმდენი ძალა არ შესწევს, რომ ის სავსებით დაანგრიოს, ხოლო მისი კომპრომისი ილიუზიათ ხდება და ცხოვრებისაგან უარყოფილი რჩება. სარბიელზე გამოდიან წვრილი ბურჟუაზია, მუშები და ხელოსნები, რომელთაც ზურგს უმაგრებს, პირველათ აქტიურათ, შემდეგ პასიურათ, გლეხობა. მოძრაობის მეთაურათ გამოდიან აი ამ ხალხის იდეოლოგები — მარატი, რობესპიერი, დანტონი. წინანდელი მეთაურები მირაბო, ლაფაიეტი და სხვები მოძრაობას წყდებიან მათ კლასთან ერთად. ლიბერალიზმი თავდება დემოკრატიზმით, მონარქია რესპუბლიკით, დამფუძნებელი კრება კონვენტით.

ამნაირათ, დემოკრატიზმი პრინციპიალურათ ლიბერალიზმის ლოდიკური განვითარებაა, ხოლო პრაქტიკულათ ლიბერალების განუხორციელებელი კომპრომისის მიერ გამოწვეული სახალხო მოძრაობაა.

ლიბერალიზმსა და დემოკრატიზმს შორის არავითარი პრინციპიალური განსხვავება არ ჰრის: ორივე დგას კერძო საკუთრების და პოლიტიკური თავისუფლების ნიადაგზე. განსხვავებაა მხოლოდ ამ თავისუფლების ხარისხში: ლიბერალები მოითხოვენ მონარქიულ კონსტიტუციას ცენზიანი საარჩევნო უფ-

ლებით, როგორც ეს საფრანგეთის დამფუძნებელმა კრებამ დაადგინა, ხოლო დემოკრატიზმი—უცენზო საარჩევნო სისტემას და დემოკრატიის სრულ პოლიტიკურ ბატონობას. სადაც კი პირველი არ ხერხდება, იქ ლიბერალები მეორესაც ურიგდებიან და თავისათ სცნობენ, რაც ნიშნავს მათ პრინციპი-ლურ თანხმობას. საფრანგეთში ლიბერალები რესპუბლიკანელები არიან; ასევეა ამერიკაში, შვეიცარიაში, პორტუგალიაში და სხვაგან. ინგლისის ლიბერალიზმი არსებითად რესპუბლიკანიზმია.

ყოველ შემთხვევაში ლიბერალიზმის პოლიტიკური მოთხოვნილებაა კონსტიტუციური მონარქია, სამინისტროს პასუხისმგებლობა და ორპალატიანი წარმომადგენლობა ცენზიანი არჩევნებით. დემოკრატიზმის პოლიტიკური მოთხოვნილებაა სამინისტროს პასუხისმგებლობა და ერთპალატიანი უცენზო წარმომადგენლობა. ლიბერალური მოთხოვნილება სავსებით, ხოლო დემოკრატიული რამდენიმეუ განხორციელდა ევროპაში თითქმის ყოველგან, გარდა გერმანიისა. ამ განსხვავების მთავარი მიზეზია ეკონომიური განვითარების სხვადასხვა საფეხური. საფრანგეთ-ინგლისში ლიბერალური მოძრაობა დაიწყო მაშინ, როცა კაპიტალიზმი იმდენათ გამძლავრდა, რომ ბურჟუაზია პოლიტიკურათ ჩამოყალიბდა, მარა არა იმდენათ, რომ პროლეტარიატიც ჩამოყალიბებულიყოს. ე. ი., მთავარი კლასიური განხეთქილება იყო

ბურჟუაზიასა და თავად-აზნაურობას შორის და არა ბურჟუაზიას და პროლეტარიატს შორის. ბრძოლას მეთაურობდა ვაჭარ-მრეწველთა კლასი და მას მიხედვდა მთელი ხალხი. ასეთ მტვრულმარეობაში ლიბერალურ კლასს ზურგი მაგარი აქვს და ბრძოლაში წინ უშიშრად მიდის.

სულ სხვაა მაგალითად, გერმანიის მდგომარეობა. ამ ქვეყნის ეკონომიურათ ჩამორჩენის გამო ლიბერალური მოძრაობა დაიწყო მაშინ, როცა პროლეტარიატი უკვე აღორძინებული იყო და თავისი პირველი დიდი ბრძოლა ბურჟუაზისთვის უკვე გადახდილი ქონდა (ივნისი 1848 წ. საფრანგეთში). ბურჟუაზიას მტერი მოველინა ზურგიდან და მის პოლიტიკურ ბრძოლას კონსერვატიზმთან ფრთა შეაკვეცა. ბუნებრივად კომპრომისის მომხრე კლასი მუშათა შიშმა კიდევ უფრო გაამაგრა ამ გზაზე და ბოლოს იძულებული გახდა თავის პროგრამიდან ამოეღო ლიბერალიზმის ძირითადი დებულება — სამინისტროს პასუხისმგებლობა. ეს ასე ვთქვათ კონსერვატიულის ლიბერალიზმია. ეს მაგალითი, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ ყოველგან ჩამორჩენილ ქვეყნებში უთუოთ ასე უნდა მოხდეს, ვინაიდან გერმანიაში იმ დროს არ იყო ორი დიდი ფაქტორი: შეკავშირებული პროლეტარიატი და აგრარული კითხვა, რასაც შეეძლო მოძრაობისათვის სრულიად სხვანაირი მსვლელობა მიეცა.

ერთი სიტყვით, ლიბერალიზმი ეხება ახალი მოძრაობის დედა-ძარღვს, მის საერთო მიმდინარეობას, და აცხადებს, რომ ადამიანი თავის მოქმედებაში თავისუფალი უნდა იყოს, ხოლო ამ თავისუფლებამ რანაირი სისხლობორცი უნდა შეისხას, რანაირი პოლიტიკური გამოხატულება მიიღოს, — ეს დამოკიდებულია თითოეული ხალხის განსაკუთრებითი ისტორიულ პირობებზე.

თუ პოლიტიკურმა ლიბერალიზმმა საერთოდ გაიმარჯვა, ეგვევ არ შეიძლება ითქვას ეკონომიურ ლიბერალიზმზე. რამდენათაც ეს უკანასკნელი მიმართული იყო ძველი, შემბოჭველი ეკონომიური წესების წინააღმდეგ, — ის აქაც სავსებით იმარჯვებს, მარა რამდენათ ის ითხოვდა შრომის „სრულ თავისუფლებას“, ე. ი. შრომისა და კაპიტალის შორის ჩაურევლობას და მუშის თავისუფლათ ყვლეფას, — აი ეს ლიბერალიზმი დამარცხდა. ყოველგან მთელს ევროპაში მუშები ებრძვიან ამნაირ ლიბერალიზმს. მათ აიძულეს მთავრობა გამოეცა მუშათა მფარველი კანონმდებლობა და მით შრომისა და კაპიტალს შორის ურთ-ერთი დამოკიდულება სახელმწიფოს კანტროლს ქვეშ დააყენეს. აი ამ ნიადაგზე გაიმართა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის დიდა და დაუცხრომელი ჭიდილი, რამაც შესცვალა მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობა. ბურჟუაზიის

ეკონომიურმა და პოლიტიკურმა აღორძინებამ ააღორ-  
ძინა და სარბიელზე გამოიყვანა მის წიაღში გა-  
ჩენილი მეოთხე წოდება. პროლეტარიატმა მოი-  
მარჯვა ლიბერალური პოლიტიკური იარაღი და  
ბურჟუაზიის წინააღმდეგ აამუშავა. დაიწყო დი-  
დი საბოლოო ბრძოლა.

რა დროშით გამოვიდა პროლეტარიატი? რა  
სურს მას და საითკენ მიიღებვის?



## სოციალიზმი.

სოციალიზმი ეწოდება ისეთ პოლიტიკურ მიმართულებას, რომლის მიზანია საზოგადოებაში მოსპოს ქონებრივი უსწორმასწორობა, ერთი მეორის ჩაგვრა-ყვლეფა და გაამეფოს საერთო, საზოგადო საკუთრება, ნივთიერთ გათანასწორებული საზოგადოება. ასეთი მიზნის დასახვა არ ახალია, ძველია. მას შემდეგ, რაც კაცი კაცს ჩაგრავს, ადამიანი ადამიანზე ბატონობს, არსებობენ ისეთი პირები, რომლებიც ამას ებრძვიან და მისი გაქრობას ქადაგებენ. ძველ საბერძნეთში, რომში, ქრისტიანობის პირველ ხანაში, საშვალო საუკუნეებში და შემდეგ ასეთი პირები ერთობ მრავალი იყვენ. მარა ამ ხანგრძლივი დროს განმავლობაში სოციალიზმი, როგორც ერთი პოლიტიკური მოძღვრება, არ შემუშავებულა და შესაფერი ყურადღება არ დაუმსახურებია. ამ დროს სოციალიზმი იყო ან თითო-ორი პირის ოცნების ნაყოფი, მათ მიერ სანატრელი წყობილების აღწერა ფანტაზიის დახმარებით, (მაგ. ტომას მორი) ან და რომელიმე რელიგიური სექტის პრაქტიკული მოძრაობა, ვიწრო ფარგალში წევრთა შორის ქონების გათანასწორება (პირველ

ქრისტიანთა მონასტრები). ამ გარემოების მიზეზი ისაა, რომ მაშინ არ არსებობდა დაჩაგრულთა ისეთი კლასი, რომელსაც შეძლებოდა სოციალიზმისათვის ნიადაგი შეექმნა და ამ მხრივ რამე მოძრაობა დაეწყო.

ასეთი კლასი დაიბადა და გამძლავრდა მხოლოდ შემდეგ, მრეწველობის აღორძინების წყალობით. ეს კლასია პროლეტარიატი. ამ კლასის განვითარებას ფეხდაფეხ მისდევს სოციალიზმის განვითარება და მისი ერთ უდიდეს მოძღვრებათ გადაქცევა.

პროლეტარიატის განვითარება შეიძლება გაიყოს ორ დიდ ხანათ: ერთია ის ხანა, როცა ეს კლასი არის მეტისმეტათ დაძაბუნებული, ჩაგრული, წვრილწვრილ სახელოსნოებში გაფანტული, კლასიურ შეგნებას მოკლებული და კაპიტალისტთა უენო საწველ ფურათ გადაქცეული. ამ დროს პროლეტარიატსაც დაბალი წარმოდგენა აქვს თავის თავზე; მისი აზრით, ის ასეთ ბეჩავათ არის შექმნილი და ასეც უნდა დარჩეს; ის ითხოვს მხოლოდ დახმარებას და განკითხვას შეძლებულთაგან. მისი მთელი პოლიტიკური ფილოსოფია გამოიხატება შემდეგ თქმულებით: მთა და ბარი ვის გაუსწორებიაო.

მეორე ხანა იწყება იქიდან, როცა პროლეტარიატი თანდათან თავს იყრის დიდ ფაბრიკებში და

სხვილი მრეწველობის მუშათ ხდება. აქ შესაძლებელი ხდება ერთმანეთთან უფრო დაახლოვება, ერთად ბრძოლა, ეკონომიური მოძრაობის დაწყება. ამ ბრძოლაში ის თანდათან იგნებს თავის კლასიურ ინტერესებს, გრძნობს თავის თავს ერთ განკერძოებულ კლასსა და პოლიტიკურათაც იწვრთნება. ის ახლა თავის იმედს მხოლოდ თავის თავზე ამყარებს და ისტორიის შეგნებულ აგენტათ გამოდის. მისი პოლიტიკური ფილოსოფია გამოიხატება შემდეგი სიტყვებით: მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეაო, პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერდითო.

ამ ორმა ხანამ წარმოშვა ორნაირი სოციალისტური მოძღვრება: ერთს ეწოდება სოციალიზმი უტოპიური (განუხორციელებელი), ხოლო მეორეს — სოციალიზმი მეცნიერული ანუ მარქსისტული.

პირველი სოციალიზმი აღორძინდა მეთვრამეტე საუკუნის გასულს და მეცხრამეტის დასაწყისში. მისი მამამთავრებია: სენსიმონი, ფურიე და ოვენი. ამათი აზრით სოციალისტური წესწყობილების დამყარება შეუძლია არა დავარდნილ და უვიც პროლეტარიატს, არამედ შეძლებულ და განათლებულ კლასებს, დიდ ბუნებოვან მრეწველთ, მეფეებსა და ქველმოქმედთ; საჭიროა მხოლოდ ამ ბატონების დაჯერება სოციალური წყობილების სიკარგეში, პროლეტარიატის ტანჯვა-ვაების მოსპობის საჭიროებაში.

ამ მიზნით ისინი თავისი მოწოდებით მიმართავენ გაბატონებულ კლასებს, ბურჟუაზიას, ხშირათ მეფეებს და მთავრობას. თვით ლუიბლანი, 1848 წლის რევოლუციის ცნობილი მოღვაწე და მაშინდელი მუშათა მოძრაობის იდეოლოგი, თავის წიგნს: „შრომის ორგანიზაცია“, ასე იწყებს: „ამ წიგნით მოგმართავთ თქვენ, შეძლებულნო! შრომის საქმე, ეს თქვენი საქმეა“ და სხვა. ამიტომ ესენი კლასთა ბრძოლას უარს ყოფდნენ, რადგან ამით ბურჟუაზიას გავაჯავრებთ და მუშას აღარ დაეხმარებაო. ესენი არ იყვნენ რევოლუციონერები; პირიქით, რევოლუცია ერთიანათ დალუბავს პროლეტარების საქმეს, საჭიროა მშვიდობიანი გზით, შეძლებულთა მომხრობით და მორიგებით არსებული ცარცვა-ყვლეფის მოსპობაო — ამბობდნენ ისინი. ამავე დროს არსებულ წყობილებას ისინი ატარებდნენ სასტიკ კრიტიკაში, დიდებულათ ამტკიცებდნენ მის უვარგისობას.

მეორე მხრით, ამავე დროს არსებობდნენ სოციალიტ-რევოლუციონერებიც, ე. ი. ისეთი პირნი, რომელნიც ფიქრობდნენ სოციალიზმის განხორციელებას ძალით, აჯანყებით, რევოლუციით. ამ მიმდინარეობის მეთაურია ბაბეფი, მეთვრამეტე საუკუნის გასულს (სიკვდილით დასაჯეს 1795 წ.), და შემდეგ ბლანკი და ბლანკისტები. მარა ამათი აზრითაც ამ სოციალურ გადასხვაფერებაში თვით პროლეტარიატს არავითარი ადგილი არ უჭერია;

რევოლიუციას ახდენს არა ეს კლასი, არამედ შეთქმულთა გუნდი, საიდუმლოთ მოწყობილი ორგანიზაცია, რომელშიაც შედიან ყველა თავდადებულნი და მებრძოლნი. ესენი იგდებენ ხელში მთავრობის ძალას და მალლიდან ქვეით ძალით ამყარებენ სოციალიზმს. ასეთი შეთქმულობა ბლანკმა ორჯერ მოაწყო მეოცდაათე წლებში, მარა ორივე ჯერ უნაყოფოთ ჩაიარა.

ამნაირათ, უტოპიური სოციალიზმის დამახასიათებელია ის, რომ მის განხორციელებას ფიქრობდენ ისეთი საშვალეებით, რომლითაც ეს ყოვლად შეუძლებელია. მას ვერ განახორციელებდენ ვერც გაბატონებულნი და ვერც შეთქმულთა მცირე გუნდი.

ამ უტოპიურ სოციალიზმს ლახვარი ჩასცა მეცნიერულმა სოციალიზმმა.

როცა უტოპისტი სოციალისტები და მათი მიმყოფნი კლასთა მორიგებით და საერთო შეთანხმებით პროლეტარიატის სვე-ბედის გაუმჯობესებას ქადაგებდენ, ამავე პროლეტარიატმა თავისი მოქმედებით დაამტკიცა, რომ ეს ყოვლად შეუძლებელია. მუშათა გაფიცვების გახშირებამ და განსაკუთრებით მათმა აჯანყებამ ლიონში 1831 წ. კაპიტალისტთა წინააღმდეგ ნათელჰყო კლასთა ბრძოლის მიუცილებლობა პროლეტარიატისათვის. ამავე დროს დიდი ინდუსტრია, დიდ ფაბრიკებში მუშათა თავის მოყრა და სოციალური ბრძოლის გაღრმავება თანდა-

თან მძლავრდება და საყოველთაოდ დასანახი ხდება. უტოპიურ სოციალიზმს თავის თავათ ეკარგვის ნი-  
ადაგი და გზას უთმობს ახალი მიმდინარეობის შე-  
საფერ მოძღვრებას, მოძღვრებას თანამედროვე, მე-  
ცნიერული სოციალიზმისას.

რატომ ეწოდება მას მეცნიერული? თუ რო-  
მელიმე მოძღვრება დამყარებულია შემთხვევაზე, კარგ  
სურვილებზე და ნატვრაზე—ცხადია, ასეთი მოძ-  
ღვრება მოკლებულია მტკიცე საფუძველს. და მარ-  
თლაც, თუ სოციალიზმის განხორციელება გაბატო-  
ნებულითა დაჯერებაზეა დამოკიდებული, როგორც  
ამას ამბობენ უტოპისტები, მაშინ შეგვიძლია წარ-  
მოვიდგინოთ ისიც, რომ მათი დაჯერება შეუძლე-  
ბელია, ამ შემთხვევაში სოციალიზმიც ვერ ტარ-  
დება, ე. ი. შეიძლება მოხდეს, შეიძლება არა, ყო-  
ველივე დამოკიდებულია ბატონთა „კაიკაცობაზე“.  
ხოლო მეცნიერული ცოდნა ეწოდება ისეთ ცოდ-  
ნას, რომელიც ამბობს, რომ მოვლენა განსაზღვრულ  
პირობებში აუცილებლათ უნდა მოხდესო. მაშასა-  
ღამე, აუცილებლობა მისი ძირითადი თვისებაა; აუ-  
ცილებლობა კი ერთიანათ ეწინააღმდეგება შემთხვე-  
ვას. ისეთი მოძღვრება, რომელიც იკვლევს საზო-  
გადო ცხოვრების განსაზღვრულ პირობებს, ადგენს  
მის კანონებს და აქედან სკვნის ესა თუ ის მოვლენა  
აუცილებლათ უნდა მოხდესო.—იქნება მოძღვრება  
მეცნიერული.

თანამედროვე სოციალიზმიც სწორეთ აქედან იწყებს. ის პირველ ყოვლისა ებრძვის შემთხვევის მოძღვრებას და სკვნის, რომ საზოგადოება და ისტორია ვითარდება არა შემთხვევით, ადამიანთა ქეიფისამებრ, არამედ მტკიცეთ დადგენილი ისტორიული კანონებით, რომელთაც ბადებს იგივე საზოგადოება თავისავე წიაღში.

მეორეთ, ის იღებს განსაზღვრულ ხანას ისტორიისას, კაპიტალისტურ წყობილებას, იკვლევს მის კანონებს, არკვევს მისი მოძრაობის ჩარხს, სწავლობს მის თითოეულ მხარეს და აქედან გამოჰყავს მისი დანგრევის აუცილებლობა. პირველს ეწოდება თანამედროვე სოციალიზმის ისტორიული მოძღვრება, მეორეს—ეკონომიური.

## მოძღვრება ისტორიული.

ყოველივე ისტორიულ ხანაში ბატონობს წარმოების ერთნაირი წესი და მისი მეთაური კლასი. საშვალოდ საუკუნეებში წარმოების გაბატონებული წესი იყო მეურნეობა და სხვილი მიწათმფლობელობა. ამ მეურნეობის ხელმძღვანელი და მიწათმფლობელნი იყვნენ თავად-აზნაურები ანუ ფეოდალები. აქ, ვისაც მეტი მამული აქვს და მისი შემმუშავებელი ყმა მეტი ჰყავს, მეტი ძალა და მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში. დიდი

მამულის პატრონი დიდი მებატონეა; ის თავის საკუთრების საზღვრებში სრული თვითმპყრობელი გამგეა; ის თავის კუთხის მეფეა და, რადგანაც ასეთი კუთხე და მეფე მრავალია, — ამიტომ მათ შორის ხშირათ იმართება ომი უპირატესობისათვის. ეს ფეოდალთა ომია. გამარჯვებული კიდევ უფრო აღიდებს თავის მამულს, იმრავლებს ყმებს და ასე მრავალ პატარა ფეოდალთა მეთაურათ და წინამძღვრათ ხდება.

მიწის შემუშავება წარმოებს ყმების შრომით, ე. ი. იმ ადამიანთა მარჯვენით, რომელნიც ცხოვრობენ ფეოდალის მამულზე და გარეშე პირთა აკლება-მოკვლისაგან დაცული არიან ამავე ფეოდალის მიერ. ამიტომ აქ ყმა ნატრულობს დიდ ბატონს, მძლავრ ბატონს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გაისრისება თავის ბატონის უფრო მძლავრ მოწინააღმდეგისაგან. თითოეული ოჯახი და სოფელი ამუშავებს ყველა იმას, რაც აკმაყოფილებს ყველა მათ მოთხოვნილებას.

ერთი სიტყვით, მამულის ბატონობა წარმოებაში ნიშნავს პოლიტიკაში ფეოდალურ წყობილებას: ყმობას, კარჩაკეტილობას და თავად-აზნაურობის სრულ ბატონობას.

მარა აი ასეთ მდგომარეობაში შემოვარდა ფული და ყოველივე ეს მიანგრმონგრია. მამულის ბატონობას შეეცილა ფულის ბატონობა, მეურნე-

ობას შეეჯიბრა მრეწველობა და ვაჭრობა, სოფელს დაუპირდაპირდა ქალაქი და გაიმართა მათ შორის ომი. ერთი მხრით დადგენ ძველი ფეოდალები მათი ამყოლდამყოლებით, მეორე მხრით—ფულის პატრონები ანუ ბურჟუაზია თავისი ქალაქური წყობილებით. და აი, რამდენათ ინგრევა და მარცხდება პირველი, იმდენათ წინ მიდის და მაგრდება მეორე. ბურჟუაზიის სრული გამარჯვება ცხადდება დიადი რევოლუციებით და ბურჟუაზიული წყობილების დამყარებით. ახლა წარმოებაში გაბატონებული წესის — მრეწველობა-ვაჭრობის—მეთაური კლასი აწყობს ყოველივეს თანახმათ თავისი ინტერესებისა და შეხედულობისა. ჩაღდება ბურჟუაზიული სახელმწიფო, ბურჟუაზიული კულტურა, ხელოვნება და სხვა და სხვა.

რაკი ფული გაბატონდა და წინანდელი ბატონი — მამული — ფულის სასწორზე გადაიტანეს, ცხადია, ერიც უნდა დაყოფილიყო თანახმათ ამლითონის ქონებისა; ფულიანი და უფულო, ბურჟუა და მუშა, კაპიტალისტი და პროლეტარი—აი ერის ახალი შემადგენელი ნაწილები. ძველი წოდებები ითქვიფება ერთმანეთში და იძლევა ორ დიდ ბანაკს ანუ კლასს—ბურჟუაზიას და მუშა ხალხს. ახლა ესენი ებრძვიან ერთმანეთს და ეს ბრძოლა შეადგენს ღერძს თანამედროვე ისტორიისას. შრომის გამარჯვება ნიშნავს ფულის ბატონობის გაუქმ-

მებას, მაშასადამე, ბურჟუაზიული წყობილების მო-  
შლას და მის ნანგრევებზე შრომის ბატონობის  
აგებას, სოციალისტური წყობილების დამყარებას.  
კაპიტალისტური წარმოება თვით ქმნის თავისავე მე-  
საფლავეთ.

ამნაირათ, მამული, კაპიტალი და შრომა—აი  
ის სამი ეკონომიური მოვლენა, რომელიც შეიცავს  
დამახასიათებელ თვისებას სამი ისტორიული ხანი-  
სას. პირველია საძირკველი წარსულის, მეორე—აწ-  
მყოსი, მესამე—მომავლის.

აქედან გამოდის შემდეგი ისტორიული კანონი:  
ადამიანის უმთავრესი მოთხოვნილებაა კვება, ჩაცმა-  
დახურვა, ბინა და მოდგმის გაგრძელება, ამიტომ  
ამ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი საშვა-  
ლებანი შეადგენენ საძირკველს, რომელზედაც აგე-  
ბულია საზოგადოების მთელი ცხოვრება. ამ საშ-  
ვალებათ ეწოდება საწარმოვო ძალა. რამდენათ ეს  
ძალა იცვლება, (მაგ. შვილდ-ისარის მაგიერ ჩნდება  
თოფი, ხელის წისქვილის მაგიერ წყლის ან ქარის  
წისქვილები და სხ.), იმდენათ იცვლება ნივთიერი  
ცხოვრების წარმოების წესი და მასთან ერთად და-  
ნარჩენი მხარეც ცხოვრებისა (პოლიტიკური, იდე-  
იური და სხვ.). როცა საწარმოვო ძალა იმდენათ  
განვითარდა, რომ ის ვეღარ ეტევა ძველ პოლიტი-  
კურ და იურიდიულ კალაპოტში, მაშინ ის ხეთქს  
ამ კალაპოტს, ე. ი. ხდება რევოლუიცია, რომელ-

საც მეთაურობს ახალი საწარმოვო ძალის ხელმძღვანელი კლასი. ეს კლასი ახლა იკეთებს ახალ პოლიტიკურ წყობილებას, რითაც ავითარებს თავის საწარმოვო ძალას. როცა ეს ძალა ვითარდება ისე, რომ ვეღარ ვტყვა თავის პოლიტიკურ ჩარჩოში, ხდება ხელ-ახალი რევოლუცია, რომელიც ანგრევს ძველ კლასებს და ბატონობას ანიჭებს ახალ კლასს.

როგორც ხედავთ, აქ აღიარებულია ისტორიული აუცილებლობა, მოვლენათა ერთი მეორისაგან ლოდიკურათ გამომდინარეობა. ეს არის ევოლუციური შეხედულება ცხოვრებაზე და მით მეცნიერული. მეორეც, აქ განვითარების ჩარხათ აღიარებულია ნივთიერი ყოფა-მდგომარეობის შეცვლა: ჯერ იცვლება მატერია და მერე იდეა. ეს არის ისტორიის მატერიალისტურათ ახსნა და, მაშასადამე, მეცნიერულიც. თანამედროვე მეცნიერება არის ევოლუციური და მატერიალისტური. მაშასადამე, სოციალიზმის ისტორიული მოძღვრება არის ხორცი ხორცთაგანი თანამედროვე მეცნიერებისა.

ეს ისტორიული კანონი აღმოაჩინა და დაასაბუთა კ. მარქსმა.

## **მოძღვრება ეკონომიური.**

კაპიტალისტური წარმოების აღორძინებამდის, საშვალო საუკუნეებში, ურომას ინდივიდუალურ-ხე-

ლოსნური ხასიათი ქონდა. ხელოსანი თავის პატარა სახელოსნოში თავისავე ხელსაწყოთი ამუშავებს ნივთს და ყიდის თავისავე ქალაქის ბაზარზე. მეწადისათვის საკმარისია ნემსისა და ძაფის შეძენა და ცოტაოდენი ტყავი, რომ წაღები კეროს და თავი ირჩინოს. შრომის იარაღი და სამუშაო მასალა მის სრულ განკარგულებაშია. ის ყიდის თავის ძალღონის ნაყოფს და არა ამ ძალღონეს. ერთი სიტყვით, ის დამოუკიდებელი შესაკუთრე მწარმოებელია.

კაპიტალისტური წარმოება იწყება იმ დღიდან, როცა ეს თავთავისთვის მომუშავე ხელოსნები იძულებული ხდებიან თავის საკუთარ სახელოსნოზე ხელი აიღონ, ფულის პატრონს მიეჭირონ, მის დიდ სახელოსნოში თავი მოიყარონ და იქ დამჭირავებელის მეთაურობით საქონელი დაიმუშაონ ფართო ბაზარზე გასატანათ. რამდენათ ვითარდება აი ამგვარი ფორმა წარმოებისა, ფართოვდება ბაზარი, არსდება ფაბრიკა-ქარხნები, მძლვარდება აღებმიცემობა და მრეწველობა, იმდენათ ეცემა წინანდელი წვრილი ხელოსნური წარმოება; ის ვერ უძლებს ახალი წარმოების კონკურენციას, ფაბრიკა თანდათან ბატონდება და უსახლკარო, ყოველივე საკუთრებას მოკლებული მუშა, წარმოების მთავარ აგენტათ ხდება. ქარხნებში შეიკრიბა აუარებელი მუშახალხი, შეება ერთ უღელს, ამუშავდა ერთი პლანით, ერთი სამრეწველო დისციპლინით. აქ განსა-

კუთრებითი ხელოსნური სწავლა-ცოდნა საჭირო აღარ არის, წინანდელი შეგირდობა, ეგზამენის დაჭერა და ხელოსნობის დიპლომის მიღება მოისპო. მანქანების წყალობით შრომა გამარტივდა; შავი მუშა სულ ცოტა ხანში ეჩვევა მანქანას ტრიალს და მაზე მუშაობას. ეს კარგათ შეუძლია არა თუ მამაკაცს, არამედ დედაკაცსაც, არა თუ დედაკაცს, არამედ ბავშვსაც. ატყდა ყველა ამ პირთა შორის კონკურენცია დღის ქირისათვის. შვილი მამას შეეცილა, ცოლი ქმარს, და ძმას—შვიქნა საერთო ბრძოლა ფაბრიკის კარებთან: არა მე მიჭირაონ, არა მეო. ძველებური ოჯახი დაეცა, სახლკარი და ნათესაური პატრიარქალური განწყობილება დაიშალა. ყველა ამის ალვაგი დაიჭირა შეუბრალებელმა ბრძოლამ ლუკმაპურისათვის.

მუშათა შორის კონკურენციამ ძლიერ დასცა მუშის ქირა და დიდათ ასწია კაპიტალისტის მოგება. მუშა თანდათან იგნებს ასეთი მოქმედების მანებლობას და იწყებს თანხმობით მოქმედებას. პროლეტარიატი ერთ ჭერს ქვეშ თავმოყრილი, ერთნაირ პირობებში ჩაყენებული უკვე მზათ არის ერთობისა და სოლიდარობისათვის. ის დგება ამ გზაზე, აარსებს კლასიურ ორგანიზაციებს—პროფესიონალურს და პოლიტიკურს—ასუსტებს ბრძოლას მუშათა შორის და ამძლავრებს ბრძოლას ბურჟუაზიასთან. ამ ორი კლასის შეტაკება შეადგენს ღერძს თანამედროვე ცხოვრებისას.

როგორც ხედავთ, ინდივიდუალური წარმოება მოისპო და მის ალაგას გამეფდა წარმოება საერთო ძალღონით, წარმოება საზოგადო. მარა ამასთანავე არ მოსპობილა ნაწარმოების ინდივიდუალური მითვისება. როცა წინეთ მესაკუთრე ხელოსანი თავის პირად ნაშრომს თვითონ ისაკუთრებდა, — აქ არავითარი წინააღმდეგობა არ ყოფილა, განაწილება სრულიად ეთანხმებოდა წარმოებას. დღეს კი ეს თანხმობა დაირღვა: წარმოების ნაყოფს ისაკუთრებს არა მწარმოებელი, არამედ არამწარმოებელი, არა მუშა, არამედ კაპიტალისტი. ეს წარმოებასა და მითვისებას შორის ჩამოვარდნილი წინააღმდეგობა ბადებს წინააღმდეგობას პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. მაშასადამე, კლასთა დღევანდელი ბრძოლა მომდინარეობს დღევანდელი წარმოების თვით საშოდან. მისი გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ ამ წარმოების გაუქმებით, მასში არსებული წინააღმდეგობის მოსპობით.

მეორეთ, წინეთ, ხელოსნური წარმოების მეფობაში, ხელოსანმა წინდაწინ იცოდა, რამდენი საქონელია საჭირო ბაზრისათვის და იმდენს ამზადებდა. მისი მიდრეკილება არის საქონელი მეტი არ დამზადდეს და ამით რაიმე ზიანი თავის თავს არ მიაყენოს. აქედან დაიბადა ამქრული წესის შემოღება და განმტკიცება. ამქარი აწესრიგებდა თავის საამქრო წარმოებას და მას უფარდებდა მოთ-

ხოვნილებას. აქ, სახელოსნოში, დამყარებული წესრიგი სავსებით ეთანხმება ბაზარს, სხვა სახელოსნოთა შორის არსებულ წესრიგს. კონკურენცია ხელოსანთა შორის მომსპარია და მით მომსპარია წარმოების ეკონომიური კრიზისებიც.

კაპიტალისტურ წარმოებაში აი ეს თანხმობა და საერთო წესრიგი დარღვეულია. აქ, მართალია, თითოეულ ფაბრიკაში სასტიკი დისციპლინა და პლანით მუშაობა წარმოებს, მარა სამაგიეროთ მთელი ეს მუშაობა საეგებიო არის: კაპიტალისტმა სრულებით არ იცის, რამდენი საქონელია საჭირო ბაზარზე, ამიტომაც არ იცის, მისი მუშების მიერ დამუშავებული საქონელი გასაღდება თუ არა. მისი ერთად-ერთი მიზანია, რაც შეიძლება ბევრი საქონელი გაასაღოს. და რადგანაც ეს შეიძლება სხვა კაპიტალისტებთან შეცილებით, მაზანდის დაწევით, ამიტომ ამუშავენს იაფათ და გააქვს ბაზარზე იაფათვე. მარა, რადგანაც ასეთივე მიზანი აქვს ყველა კაპიტალისტ მრეწველს, ამიტომ ბაზარზე გამოდის აუარებელი საქონელი დაახლოვებით ერთნაირ ფასებში გასაყიდათ. ბაზარი ივსება საქონლით, მოთხოვნილება კი ამდენი არ არის, მრავალი გაუყიდავი რჩება. ფაბრიკანტი იძულებული ხდება თავის ფაბრიკაში მუშაობა შეამციროს ან ფაბრიკა სრულიად დაკეტოს დარჩენილი საქონელის გასაღებამდის. ამის შედეგია მრავალი მუშის ულუკმაპუროთ

დატოვება, ვაჭრობის შემცირება, ბანკებში ფულის გაძვირება, საერთო გაჭირვება და უფულოობა. ასეთ მდგომარეობას ეწოდება წარმოების კრიზისი.

მაშასადამე, კრიზისი მომდინარეობს იქიდან, რომ წარმოება თითოეული ფაბრიკის გაწესრიგებულია, მარა წარმოება ყველა ფაბრიკის ანუ მთელი საზოგადოების გაუწესრიგებელია, ანარქიულია. ეს არის მეორე წინააღმდეგობა კაპიტალისტური წარმოების, რომელიც ლოდიკურაჲ გამოადის პირველი ძირითადი წინააღმდეგობისაგან. წარმოების წესი აქ ებრძვის განაწილების წესს. ერთი მხრით გროვდება ბევრი სიჭონელი, მეორე მხრით კი მრავლდება გაჭირვება და სიღატაკე, ე. ი. მეტი ნაწარმოები ბადებს მეტ სიღარიბეს, ადამიანი ხარჯავს მეტ ძალღონეს, მუშაობს ბევრს და ყოველივე ეს მიდის მის წინააღმდეგ, ე. ი. წარმოებითი ძალა ებრძვის არსებულ განაწილებას, ის ვერ ეტევა მის ვიწრო კალაპოტში და კრიზისის სახით ჯანყდება. კრიზისის მოსპობა შეიძლება მაშინ, როცა ეს წინააღმდეგობა გაუქმდება, ე. ი., როცა გაწესრიგებული იქნება არა მარტო ცალცალკე წარმოება, არამედ ყველა წარმოება, წარმოება მთელი საზოგადოებისა, ხოლო ეს შეიძლება მაშინ, როცა წარმოების პატრონი იქნება არა თითოეული პირი ცალცალკე, არამედ მთელი საზოგადოება, მთელი ხალხი ერთად.

მესამეთ, კაპიტალისტური წარმოების მთავარი

ძარღვია კონკურენცია. მსხვილი კაპიტალი ამარცხებს წვრილს, დიდი კაპიტალისტი—პატარას. განსაკუთრებით კრიზისებს ვერ იტანენ წვრილი მრეწველ-ვაჭარნი და კოტრდებიან. მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოება ნიშნავს იმავე დროს, ერთი მხრით, კაპიტალის მოგროვებას რამდენიმე პირთან ასეთ პირთა კამპანიების ხელში, ხოლო მეორე მხრით, გამრავლებას მათგან დამოუკიდებელი ხალხისა და პროლეტარიატისას. საზოგადოება უფრო და უფრო იყოფა ორ ნაწილათ: ერთს, ძლიერ მცირე ნაწილს, შეადგენენ მსხვილი კაპიტალისტები, ხოლო მეორეს, დიდ ნაწილს,—პროლეტარიატი და კაპიტალისტების საწველ ფურცთ გადაქცეული წვრილი მესაკუთრენი. ეს ორი ბანაკი თანდათან უპირდაპირდება ერთი მეორეს, გაჭირვებული წვრილი მესაკუთრე უფრო და უფრო იგნებს თავის ინტერესებს და ემხრობა პროლეტარიატს და ასე დგება უკმაყოფილოთა და გაყვლეფილთა დიდი ჯარი პროლეტარიატის წინამძღოლობით წინააღმდეგ ერთ მუჭა კმაყოფილთა და გამყვლეფელთა. და აი, დგება ჟამი სოციალური რევოლუციისა: პროლეტარიატი მიდის იერიშით კაპიტალიზმის ციხეზე—სახელმწიფოზე, ის იგდებს ამ ძალას თავის ხელში, იქიდან ერეკება ბურჟუაზიას, აცხადებს თავის დიქტატურას, თანდათან აუქმებს კაპიტალისტურ წარმოებას და აწესებს სოციალისტურს. ამით ის სპობს კლა-

სებს, კლასთა ბრძოლას, კლასთა პოლიტიკურ ორგანიზაციას—სახელმწიფოს—და ამკვიდრებს თავისუფალ და თანასწორ ადამიანთა ერთობას—სოციალისტურ წყობილებას.

ამნაირათ, კაპიტალიზმის დამახასიათებელია: წინააღმდეგობა წარმოებასა და განაწილებას შორის, წინააღმდეგობა თითოეულ ფაბრიკასა და მთელ საზოგადოებას შორის, რაც ცხადდება კრიზისებით, კაპიტალის კონცენტრაცია (მოგროვება) და პროლეტარიატის გამკრავლება. აქედან იბადება სოციალური რევოლუცია, ე. ი. პროლეტარიატის დიკტატურა და სოციალიზმის დამკვიდრება.

კაპიტალიზმი ირღვევა მისივე საწარმოვო ძალის გაძლიერებით, რომელიც ვერ ეტევა არსებულ ჩარჩოში და ხეთქს მას, ე. ი. ის ირღვევა იმავე გზით, რა გზითაც დაირღვა ფეოდალიზმი.



ფანის 25 კპპ.

Handwritten text on a triangular stamp, including "M. RAJAN" and "CAI".

$$\begin{array}{r} 654 \overline{) 90} \\ \underline{31} \end{array}$$

30p

45